საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვალუტის გადამცვლელი პუნქტების გამოკვლევის ძირითადი შედეგები

2018

01.04.2019

www.geostat.ge

01.04.2019

ვალუტის გადამცვლელი პუნქტების გამოკვლევის ძირითადი შედეგები

(2018 წელი)

2018 წელს საქართველოში 739 ერთეული ვალუტის გადამცვლელი პუნქტი (კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ერთეულების გარეშე) ფუნქციონირებდა, რომლის 37,6 პროცენტი ქ. თბილისში, 31,3 პროცენტი - აჭარაში, 8,9 პროცენტი იმერეთში, 8,5 პროცენტი ქვემო ქართლში, 3,9 პროცენტი კახეთში, 3,2 პროცენტი სამეგრელო-ზემო სვანეთში, ხოლო 3,7 პროცენტი დანარჩენ რეგიონებშია განთავსებული:

ვალუტის გადამცვლელი პუნქტების განაწილება რეგიონების მიხედვით, 2018 წელს



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2018 წელს ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მთლიანმა ბრუნვამ (ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან მიღებული დარიცხული შემოსავალი, დღგ-სა და აქციზის გარეშე) 9,2 მლრდ. ლარი შეადგინა, საიდანაც 53,1 პროცენტი აშშ დოლარზე, 16,7 პროცენტი ევროზე, ხოლო 30,2 პროცენტი სხვა ვალუტაზე მოდის[1].

[1]კონვერტირებული ლარში, 2018 წლის ბოლოსათვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

ცხრილი №1: **ვალუტის გადამცვლელი პუნქტების გამოკვლევის ძირითადი შედეგები**

მაჩვენებლის დასახელება	№	სულ	მათ შორის:		
			აშშ დოლარი	ევრო	სხვა ვალუტა
ბრუნვა, სულ (მლნ. ლარი)*	1	9,189.6	4,879.5	1,531.6	2,778.5
მათ შორის:					
ყიდვა (მლნ)	2	-	919.0	279.5	1,359.1
გაყიდვა (მლნ)	3	-	904.0	292.8	1,419.3
საკონვერსიო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალი (მლნ. ლარი)	4	12.7	4.5	1.3	6.9
კლიენტთა რაოდენობა, სულ (მლნ.)	5	6.7	-	-	-
მათ შორის:					
იურიდიული პირები (ერთეული)	6	20,705	-	-	-
აქედან					
ბანკები (ერთეული)	7	112	-	-	-
მიკროსაფინანსო ორგანიზაციები (ერთეული)	8	174	-	-	-
ფიზიკური პირები (მლნ.)	9	6.6	-	-	-
მათ შორის:					
ადგილობრივი (მლნ.)	10	5.5	-	-	-
უცხოელი (მლნ.)	11	1.1	-	-	-
ნაღდი ფული (მლნ. ლარი)	12	38.2	14.3	3.7	20.2
ბანკებში არსებული ფულადი სახსრები (მლნ. ლარი)	13	1.9	0.6	0.0	1.3
მათ შორის:					
რეზიდენტ ბანკებში (მლნ. ლარი)	14	1.9	0.6	0.0	1.3
არარეზიდენტ ბანკებში (მლნ. ლარი)	15	0.0	0.0	0.0	0.0
აღებული სესხები (მლნ. ლარი)	16	199.9	129.7	0.1	70.1
მათ შორის:					
რეზიდენტებიდან (მლნ. ლარი)	17	81.7	24.0	0.1	57.6
არარეზიდენტებიდან (მლნ. ლარი)	18	118.2	105.7	0.0	12.5

შენიშვნა: მეორე და მესამე სტრიქონში, აშშ დოლარი და ევრო წარმოდგენილია ნომინალის გათვალისწინებით.

ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ 2018 წელს შეძენილ იქნა 919,0 მლნ. აშშ დოლარი და 279,5 მლნ. ევრო. იმავე პერიოდში გაყიდული აშშ დოლარისა და ევროს მოცულობა კი შესაბამისად შეადგენდა 904,0 და 292,8 მილიონს.

2018 წლის განმავლობაში ვალუტის გადამცვლელმა პუნქტებმა მომსახურება გაუწიეს 6,7 მლნ. კლიენტს, საიდანაც 6,6 მლნ. ფიზიკური, ხოლო 20,7 ათასი - იურიდიული პირია. იმ ფიზიკური პირებიდან, რომელთაც გაეწიათ მომსახურება, 83,5 პროცენტი ადგილობრივი, ხოლო დანარჩენი 17,2 პროცენტი - უცხოელია.

2018 წელს სალაროში არსებული ნაღდი ფულის მოცულობა (კონვერტირებული ლარში) 38,2 მლნ. ლარით განისაზღვრა, რომლის 37,4 პროცენტი აშშ დოლარზე, 9,7 პროცენტი ევროზე, ხოლო 52,9 პროცენტი სხვა ვალუტაზე მოდის. ბანკებში არსებული ფულადი სახსრების მთლიანი მოცულობა (1,9 მლნ.) სრულიად ნაწილდება მხოლოდ რეზიდენტ ბანკებზე.

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge